

გაზეთის ფასი

Table with 2 columns: გაზეთი (Newspaper) and ფასი (Price). Rows include monthly, quarterly, and annual rates for different locations like Tbilisi and Georgia.

განცხადება, "დროებაში"


დასაბეჭდად, მიიღება სხვა-და-სხვა ენებზე. შპსი განცხადებისა ჩვეულებრივი ასოებით, სტრიქონზე 4 კაპ. და ასო-მთავრულებით — ასოზე 1/4 კაპ.

ხელის მოწვევა

მიიღება თვითნებურად

რედაქციის კანტორაში, სოლოლაკზე, სოლომონ მირიანაშვილის სახლებში. შუთისში: მერასივე ქალაქი და სხვა (სასულიერო სასწავლებელში) და სხვ. მცხთან. ბარეშენ მცხოვრებთა შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ მოთხოვნები: В г. Тифлисе. В контору редакцїи газетъ „ДРОЕБА“.

შპსის კვირაში ერთხელ, პარასკეობით.



საპოლიტიკო და სალიბერატორო გაზეთი

წელიწადი მარტი

შინაარსი

საქართველო: „დროების“ კორესპონდენცია: შვირილიძე — მზურგეთიძე — ხონიძე — რუსეთი: წყვილიძე — უცხო ქვეყნები: სურანდუბი — შპანია — ავსტრია — მანამდროე შინაშენები და სურათები — ნარევი — მიბლიოგრაფიული განცხადება. ველტონი: ჯანდაბა, ნ. სკანდელისა.

საქართველო

„დროების“ კორესპონდენცია

დ. შვირილიძე 7. სექ. 1873 წ.

ამ დღეებში ერთი სასიამოვნო საქმე მოხდა შორაპნის უბანში. შეეცა საეკლესიო გლეხები, რომელნიც წინეთ სამზღვარს გარეთელ საბერძნეთის მონასტრებისათვის შეეწირათ, განთავსდნენ იქაური არქიმანდრიტების და მმართველების მონებინა და მართებლობისაგან. ეს საეკლესიო

გლეხები ამის შემდეგ იქნებან ადგილობრივი უ. ნაჩლიკების მართებლობას ქვეშ. მარდასახად, რასაც იხილდნენ ეს საეკლესიო გლეხები, ჯერჯერობით ისევე გადახდენინებენ, მაგრამ ის ტანჯვა და წვალება, რომელიც გლეხებს ადგა ბერძნის არქიმანდრიტების და მართებლებისაგან, მათ აღარ მიადგებათ.

შე დავესწარი სოფელს მარძიას, როდესაც უმთავრესი სამმართველოს ჩინოვნიკმა, უ. ხოჯაევმა, ჩამოართვა ყოველი უძრავი და მოძრავი ქონება და გლეხები მარძიის მონასტრის მმართველს, ბერძნის არქიმანდრიტს პანარეტოსს. ძლიერ საინტერესო იყო ამ არქიმანდრიტის მოქცევა ადგილების და გლეხების ჩამორთმევის დროს თავისი საბუთებით. შე მხოლოდ იმას ვიტყვი, რისიც თქმა შესაძლებელია.

მარძიაში ტაკოს მონასტრის, რომელიც იერუსალიმისკენ არის, ას ორმოც და შორმეტი გლეხი კაცი ჰყოლია შეწირული. არც ერთი იმერელი ღარიბი და დატაკი

აზნაურის შეილი არ მიაყენებდა თავის კმას იმ წვალებას და გადასახადს, რაც ამათვის მმართველებს მიუყენებიათ სხვა და სხვა დროს. აბობენ, ერთ გლეხ კაცს ფული უნდა მიეტანა არქიმანდრიტისათვის, მაგრამ ვერ უშოვნაო. მმართველმა ამ გლეხს სახლი გადაუხადა იანვარშიო და, სანამ ფული არ მიუტანა, მისი გადახურვის ნება არ მისცაო. ძნელი დასაჯერებელია ეს ამბავი, მაგრამ ბევრმა გლეხმა დაამტკიცა. უ. ჩინოვნიკ ხოჯაევთან მიდოდნენ გლეხები და ჩიოდნენ: მე ამდენი ვაძამხდევიან არქიმანდრიტმა და მე ამდენიო. ჩინოვნიკი, თუმცა პასუხს არ თხოვდა არქიმანდრიტს, მაგრამ ის მაინც თავის გასამარლებლად ამბობდა: მე ფულები მათ საწირავად გამოვართვიო და მათი ტანის სიმრთელეზე ღმერთს შევეყვებო!

რომ ვაგაგებინოთ, თუ რამდენათ მიძმეთ იყენენ ეს საწყალი გლეხები დაბეგრულნი, მე მოგიყვანთ რამოდენიმე ცნობას იმ სიეზიდამ, რომელიც არქიმანდრიტმა ჩააბარა

ჩინოვნიკ ხოჯაევს. ამ სიეზიში სხვათა შორის ეწერა: „სამოცდა ათი გლეხი ვალდებულნი იყვნენ ყოველ წლობით გარდაცხადდნენ მონასტრის სასარგებლოდ 47 მ. და 40 კ., 1185 ბათმანი სიზინდი (ბათმანი ნახევარი ფუთია); 790 ბათმანი ღომი. 79 ბათმანი ღობიო, 7900 კონა ჩალა, 2522 ჩაფი ღვინო წყალ დასხმული (საური და ჩვენებურად ნაქჩა). 299 ჩაფი წმინდა კარგი ღვინო (შუმი). სულ რომ, შეფასოს ესეები კაცმა 1500 მანეთზე მეტს შეადგენს. ამ ფასათ ეღირება მაშინ, როდესაც კარგი ძოსაგლის წელიწადია და ცუდი მოსაგლის დროს კი ერთი ორათ. ეს გადასახადი მართო სამოცდა ათი გლეხის არის და სხვების კიდევ სხვა არის.

ბერძნისაგან ვამიგონია, ჩვენს იმერეთის მეფეებს თვითონ არა გააჩნდათ რა და ვარეშე სამძღვრის მონასტრებს ამდენი გლეხები და მამულები შესწირესო. მეც კი ასე ეფიქრობდი, სანამ მეფისაგან მიცემული ღრამაბა არ წაეკითხე ამ მამულების შეწი-

ფელტონი

ჯანდაბა

წლიური სხდომა ქართული მწერლობის მოყვარეთა (ფანტაზია)

(სცენა წარმოადგენს ბნელ დარბაზს. უზუგულ, ამალგებულ ადგილზე, წითელი და მოოქროლი მაუდიტ შემკულ ტანზე, ზის მოხუცი თავმჯდომარე. ირგვლივ სამუხებზე სხედან მწერლები და ვითომ-მწერლები, ზოგი ჩანგით, ზოგი ისრით, ზოგი კალმით დაარალებული. მარჯვნივ ორიოდე მკითხველი და მრავალი ვითომ მკითხველი დგას. მარჯვნივ ისმის გაშვარებული წვიმისა და ქარიშხლის ხმა)

პირველი გამოსვლა

თავმჯდომარე

აჲ სად არიან იგინი, მას ყმას სჯაში ვინც იუტუნენ, ძმანი და ტოლნი მწერალნი, რომელნი ცქერით გვაღებენდენ?

მგან მოდიან ნაცნობნი, ვინცა ადრევე გვიწმენდენ... (მიუბრუნდება პლატონ შილოსოფოსს.)

ძველ მიტუბინის; წარვდეთ, ხომ ხედავ დავშოით მე და შენი...

პლატონ შილოსოფოსი

შანი მრავალნი უხილტულ ფარბან ვითა machina, Tempora ჩემნი მიილტვს, გუტლის აღაპი ჩემნი შინა. წარვდეთ ვითა გამოთქვა ტტმლოვან ტტმლომა ჰომერმა, Euxთანად ყუახად არ წარიტაცოს იმერმა! *)

*) სიტყვანი ესე: „ელიკაოდეს გინაიკეს“, მოყვანილი თხზულებასა შინა ჰომერისა, „ილიადად“

3. შმიკაშვილი

ისმინეთ ჩემი, მოხუცო, ბურჯნო ივერის ენისა! მკონებ სინდელ დარბაზის თქვენ ხილვას გიშლის სცენისა:

აჲ მწერალნი, მკითხველნი, მოსურნე თქვენის სმენისა, მაშ მოითმინეთ, გვედროთ, გუშავნო ჩვენის ქვეყნისა!

თავმჯდომარე (ჩუმად პლატონ შილოსოფოსს)

თავგანის-მცემელთ რის გუნდი თავსა გმეღებუბათხოვნითა.

შნდა ვიფიწყით ალაპი „გინაიკების“ ხევენიო!

პლატონ შილოსოფოსი

იყვენ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ამინ!

თავმჯდომარე

მინდ მძინოს მაინც ვაგხსნი მე სხდომას,

თავალთ ავახულ, ვაგხსნებ ტველ შრომას! (ნაღარა და დიშლიპიტო)

მაშ, ყმაწვილებო, მოდით, ერთი ეიბასოთ, დარდიმანდული, დარბაისული სჯა ვაგმართოთ!

(შეიქნება ზარის რაწყუნა. მწერლები თავიანთ ადგილებზე სწორდებიან და სალაპარაკოთ ეშვადე ბიან)

წოდებულსა, ქართულსა ენასა ზედა ძნელად ითარღმანებია. მარნა მოსწავებენ ქალსა, რომელსა აქტს თვალნი მოძრანი, მრბიულნი, აღსებულნი სიტკობიბითა, ეშხითა და ნარნართა მზაკარებითა. ესე ყოველივე გამოითქმის ორთა შინთელნი: სურითა სიტყვითა, ხოლო რასა მოსწავებს ხსენება „იმერისა“ — არა ძალმობის გამოთქმად, ვინაჲდგან თხზულებათა შინა ჰეზოდისა, პლატონისა და ტიტუს-ლივისისა ერთ გზისა არა ხმარებულ არს სიტყვა ეზე.

(შენიშნა თვით პლატონ შილოსოფოსისა.)

თავმჯდომარე

სიტყვა ჩემი მდივანბეგისთვის მიმიცია სმენა იყოს და გაგონება კი არა.

3. შმიკაშვილი (ჩუმად ხმით)

არ ვის უთხრათ ეს ამბავი, სსსს!

თორემ მოკვდის დღე შენი სსსს!

*
დავიარე მთა და ბარი მე!

შეკრიბე ლექსი, ზღაპარი მე!

*
ბეჭდვაში გეგმარებებს სიფრთხილე ჩვენ,

რომ არ გამოგვრჩეს „იბილე“ ჩვენ!

*
მც წილს მოვიციდი, და მერე სულ

ბამოვცემ, რაც კი ჩაწერე სულ!

თავმჯდომარე

სულთ ერთნო, მამა-მწერლებო, აჲ შეკრიბით: შიშის პაპა ვამიგლოთ ნუგეშით...

მეორე გამოსვლა

(ამ დროს კარები უცრათ დაიფელება, და სცენაზე ვაი ვაგლხიო შემობრბის ანტო შურცელაძე. შემოვარდება თუ არა, თავმჯდომარის დაუკითხველათ სხარტულით იწყებს დიაკონ ური კილოთი.)

ანტონ შურცელაძე

მე ვახლავარ ის ივერი, ანტონ ბრძენი, გონიერი,

დარდიმანი, ბენიერი, მკისხანეთა ძლიერი, მის ხელშია ყველაფერი: პარტიკოსი, დროის-მწერი, მოზარე მშვენიერი, მოთხრობებში ენა-მჭვერი; შვეკუდის მძლავრი მტერი, „სისკრის“ სავერული ვერი, „მნათოს“ რომ მოგვარა ერი, „ტრებულს“ შუბლში რომ ჰკრა კვერი, „დრობას“ რომ წაცხო მტვერი; მოკლა ბოკლი და დრებერი, ქერესელიძე ბებერი, ავლიშვილიცა მტერი; მესხის, სკანდელის გამბერი — მე ვახლავარ ეს ივერი, ანტონ ბრძენი, გონიერი, დარდიმანი, ბენიერი!

(შემოვიღის მთელ დარბაზს ასიქილით)

ხმა (ქვრადმ) მკოქანთ ქორო *)

„მნათოს“ რა დამართე ხორცუმსხმული ქორო, შეილი რათ დამარხე?

ანტონ

ვინ მიბედავს დამკრებას?

ვინ მიღრის თავს?

ვინ გამოთქვამს ჩემს ძაგებას?

ვინ მკადრებს ავს?

*) სახელ-განთქმული „მკოქანთ ქორი“ მართო მისი პატრონის წიწილებს იჭერდა და სკამდა თურმე, გარეული ფრინგის მაგიერ.



უკანასკნელ კრებას შორიდადვე დაქვერდნენ; საფუძვლიანი თუ არა ეს ენის დაღვა ამ კრებაში, ის უნდ მისხედი, მკითხველო, მაგრამ უეჭველ კია, რომ მათ გონებაში ის ჰაზრი იყო, რომ ვითომ ჩვენი საზოგადოება უსარგებლოთ და უმეზნოთ ცდილობდეს შკოლის განხსნას. საზოგადოებას კარგათ ესმის, ეს საქმე ცხოვრებაში რა სარგებლობას მოიტანს, მაგრამ მე რომ ვგონებ, ზოგიერთებს კი არ ესმისთ საქმის დანიშნულება; თორემ რომ ესმოდეს, როცა იმათ შუა ან ამათთან ლაპარაკი იწყება ჩვენი მსურვეთის საზოგადოების საქორიებაზე და მომავალზე, ისინი სულ სხეანაირათ მოიქცეოდნენ.

მინც გაისხენებს, თუ რა ვაღვენა ექმნება ამ შკოლას ჩვენში დედობრივ სქესის გაუმჯობესებაზე, ის ადვილათ მიხედება, რომ ჩვენი საზოგადოების და განსაკუთრებით ამის მოთავე პირების პირველი მოვალეობა იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოებას გაავებინოს, რა სარგებლობას მოუტანს იმათ ცხოვრებაში და ეცადონ, რომ შკოლის საქმე მტკიცეთ და საფუძვლიანათ დააწესონ. მადლობა ღმერთს, რომ ეს საქალებოა შკოლა მართლ ჩვენში არ არის, მთელ მეროპაშია დაწესებული, რომელსაც დიდი სარგებლობა მოაქვს კაცობრიობის გაუმჯობესებაში...

მე შკოლა მომყავს მაგალითათ და ერთ იმისთანა პატარა ქალაქ ვერ იზოვით ქვეყანაში, რომ არ იყოს ეს საქალებოა შკოლა და მე ამ შემთხვევაში ძრიელ მიკვირს მსურვეთის საზოგადოების თავმჯდომელო საქმის კეთება.

რასაკვირველია, ყველა კორესპონდენტები არ სტყუიან, ვინც კი სწორენ ამ საქმეზე და რომელიმე მათგანს კი გამოუდის ცილისწამება ამ შკოლის თაობაზე. მაგრამ ამას თავი დავანებოთ, მკითხველო, და იმას მივაქციოთ ყურადღება, თუ როგორ ვათავდა ამ შკოლის საზოგადოების კრება. მათავედა, აი ამ ნაირათ: პატრიცეპული აქაური უფსდის ნაჩაღნიკის მფუძვლე ნატალია მახარაშვილი დიდი თანაგრძობით მსურველი აღმოჩნდა ამ საქმის სისრულეში მოყვანისა და კიდევაც არწმუნა კრება, რომ ნამდვილათ დაეუფდებინათ შკოლა. ძრება დაეთანხმა იმის წინადადებას და აღმოიჩინეს შემგომნი პირნი საპატრიო წევრებათ: უფსდის ნაჩაღნიკი, თ. ღმირი ბურგიელი და თავადი ბრიგოლ ბურგიელი; ღმირუნველებათ: სმოტიტიტელი უფსდის სასწავლებლისა თავადი ივანე ნაკაშიძე, თავადი ანტონ ნაკაშიძე, თუ. მასილ შარველი და უფ. იოსებ თყაიშვილი. ამ პირებს აქვსთ თავზე მიგდებული ამ დღეებში ფულის მოკრება და იმედი არის, რომ მოიყვანონ საქმე სისრულეში.

მაგრამ, ჩვენდა საუბედურათ, რაგინდ ძრიელ შესაყარებელი უნდა ყოფილიყოს ეს საქმე აქამდის, უეჭველ თ მიეცემოდა დაბოლოება ყოველის უმიზნოთ; მაგრამ ხომ იცი, მკითხველო, ერთი ან ორის შემწეობით საქმე აგრე ვაგრძელდა და უთავბოლო წერით „ღროებაში“ ბოლო არ ეძლევა ამ შკოლას.

ნუ დაიწყებთ, რომ ეს მწვერალი განლავეთ პედაგოგიურ ნაწილში. მართმა იმათგანმა წარსულ წელში და აწმყოში სწორა სტატები, რომლებმაც ძრიელ გული აუგორა საზოგადოებას და რომელშიაც გამოიხატებოდა ლანდლა რაზოდენიმე მოთავე პირების შესახებ და იმისთვის შეუძლო შეიქმნა ამ შკოლის სისრულეში მოყვანა. მიქვენც გეცოდინებათ, მკითხველო, ეს მწვერალი, რომელიც „ღროებაში“ ციეცრეთ სროლილობს სიტყვებს...

სემინარიელი.

ხონი, სექტემბერი 10.

ამას წინეთ ერთი თვე მეტი დაერჩი მე სოფელს ტალერში. მსურს გაიზნოთ ამ სოფლის ბედი და უბედობა, რაც მე აქ ჩემის თვლით დამინახავს.

მს სოფელი მდებარებს სენაკის უფსდში, მას ჩამოუვლის შუაზედ მდინარე ტახური. მდინარის ნაპირას დგას ორმოცამდის საეპრო დუქნები; აქაურ მოვაჭრებს და მცხოვრებლებს დიდ შემწეობას აძლევს ძურძუს მთა, რომელშიაც დიდი ხანია იჭრება ბზის ხეები; ამას პატრონობენ სამნი ძმანი თავადნი ღალიანები. მებატონეების ნებით და ბაჟის ძლივით ქრიან ბზას საზღვარს გარეთლები და გზაენიან გრანიცაში. შელიწადში აქედან იგზავნება ბზა 1000 საპალნე-

მდის მომჭრელ მუშებათ და წამლებათ, ძურძუს მთიდან სამოც ევრსტზე ახალსენაკის რკინის გზის სტანციაამდის; აქაური მცხოვრებლები არიან. მაინი ყველა, რასაკვირველია, დიდი უფუგვია მცხოვრებლებისათვის, ამ შრომით საწყალი ღირბი ხალხი ცოტა ფულს მაინც მოულოპს. როცა ეს მოილევა აქედან, მან უნ ვაი ამათი ბრალი. მეტმეთ ეს საეპრო დუქნები და მალაზიები ტურების სამწყესავათ უნდა გახდეს.

თუმც იმერეთ-სამეგრელოში ზოგიერთ ალაგას კიდევ არის იმისთანა ტყე, რომ შიგბზა იშოვება, მაგრამ ნაკლები ღირსების, რომელსაც საზღვარს გარეთლები ეძახიან სკარდას, ესე იგი გამოწარჩევი, რომლის წაღება სხვა ქვეყანაში ეპარ კაცს ხელს არ მისცემს, თუ მაშინით აქვე არ დამზადდა.

აი ხელა აქ დადგეს საზღვარს გარეთლებმა მენგრელსკის მამულშიდ ერთი ბზის სახერხაი მაშინა, რომლითაც აქვე ხერხვენ და ისე მიაკეთ დამზადებული ბზა; მეორე მაშინა თ. ღალიანების მამულში კიდევ იდგება

თუმცა ბუნებას მისი გულ-უხვი მოწყალება ჩვენთვის არ დაუკლია, მაგრამ ეს ყველა ფუტეა ჩვენთვის, რადგანაც ჩვენ არც შეძლება გვქვს და არც ცოდნა, რომ ამ ბუნების სიმდიდრით ვისარგებლოთ.

ჩვენს მამულებს მართა სახელი რქმევია ჩვენი და სახრავათ კი იმ მხრის კაცების ყოფილა, რომელთ მხარეშიაც ცოდნა ვაგრცულებულია. შკოლები ჩვენში ძალიან ცოტაა. აი თუნდ ამ სოფელში ექვსასამდის მოსახლე კაცები არიან; ამათში ათი არ მოიძებნება ისეთი პირი, რომ წერა-კითხვა იცოდეს, სასწავლებლის ხსენება ჯერ აქ სულ არ ყოფილა. ამათ რომ ჰკითხოთ, შკოლა რასა ქვია, ისმება თუ იძებნა, ისიც არ იციან.

ამათ ყველას თავს დავანებებ. სხვაზედ მე ვერავითარ ცუდ აზრს ვერ შევადგენ, მხოლოდ აქაურ მენ-ხარებზედ: თუმცა ისინი პირუტყვების სამწყესურს ღებულობენ, მაგრამ მოვლის რა შოგახსენონ. ისე არ აწუხებს იმათ დარდი, როგორც სუფრასზედ ჭახხურის კალმახის უქონელობა.

ხონელი შარბიძე.

რუსეთი.

— ამ ჟამად პეტერბურლის პედაგოგიურ საზოგადოებაში ერთი საქმე ირჩევა, რომელსაც ცუდი არ იქნება, ჩვენც ყურადღებას მივაქცივდეთ. მართი ამ საზოგადოების წევრი ამბობს, რომ რადგანაც სასოფლო შკოლებში კარგი მსწავლებლები არა გვეყვანან და სამასწავლებლო შკოლები ვერც ისე მალე და ვერც იმდენს მასწავლებელს ვაგვიზრდის, რამდენიც საჭიროაო, ამიტომ კარგი იქნებოდა, ზაფხულობით სამასწავლებლო კურსები ვაგვემართო. მს სამასწავლებლო კურსები აი რა არის: ვინც მასწავლებლობაში თეორიულად და პრაქტიკურად ვაწუფულია, ისინი ზაფხულობით უნდა დადიოდნენ სოფლა-სოფლად, შეწყარონ ერთად რამდენიმე მასწავლებელი, რომელთაც არც პედაგოგის ესმისთ რამე და ახალი წერაკითხვის მეტოდებიც არ გაუცნიათ და იმათ შეძლებისამებრ სხვა და სხვა რჩევები და დარიგებები მისცენ. ჩვენ ქართველებს კარგი მასწავლებლები თითქმის სრულიადაც არა გვეყვს; კარგი კი არა ცუდებიც ერთი ორის მეტი არ არის, ამიტომ რომ უმრავლესობა ადმინისტრაციაში და სამსაჯულოაში სამსახურს უფრო ეწეება. ჩვენ ძნელად ვიპოვით იმისთანა კაცს, რომელთაც ამ ზემოხსენებული შრომის კისრება შეეძლოს. მაგრამ, რაც უნდა იყოს, ჩვენი უმაღლესი

და საშუალო სასწავლებლებში გამოზრდილი ყმაწვილ-კაცები იმდენად მალად დგან სასოფლო შკოლის მასწავლებლებზედ, რომ იმათ უფრო ადვილად შეეძლოთ პედაგოგიური წესების და წერა-კითხვის მეტოდების წიგნებლად შეთვისება, ვინემ სოფლის მასწავლებლებს. ჩვენ ახალგაზრდას რომ ამგვარი ცოდნა შეეძინა და, ხშირად სოფელში ყოფნის დროს, სასოფლო შკოლების ოსტატებისათვის წერა-კითხვის სწავლება და ყმაწვილებთან კაცობრიულად მოპყრობა ესწავლებინათ, უფრო ბევრ სარგებელს გვაჩვენებდნენ, ვინემ პედაგოგიური წიგნების გავრცელებით, რომელთაც გამოყენება კი არა, ზოგიერთ სასოფლო შკოლის მასწავლებელს კარგად წაკითხვაც არ შეუძლიან.

— მოგოლევის გუბერნიის ერთ მახრაში გლეხებს დაუწესებიათ, რომ ვინც შვილებს შკოლაში შეიყვანს და თავის დროზედ შკოლაში სასწავლებლად არ გაავზავნის, იმას პირველ ჯერ სამი შაური ჯარიმა უნდა გადახდესო და მეორე ჯერ ხუთი შაური მესამეთ ამ საქმეში დანაშაულობაზედ მამასახლისმა მომრიგებელ შუამდგომელს უნდა მოახსენოს, როგორც იმისთანა დანაშაულობაზედ, რომელიც საზოგადოების გადაწყვეტილებას არღვევს და იმისურჩობას ავრცელებს.

— პეტერბურლის უწყებები გეცნობებენ, რომ კამისია, რომელიც 1863 წლის უნივერსიტეტის წესდების განსახილველად იყო დანიშნული, ამ დღეებში თავის საქმეს გაათავებსო. იმისგან შედგენილი ახალი წესდების პროექტი უთუოდ ამ წლის დამოღვეს განიხილება სახელმწიფო რჩევაშიო და რადგანაც დამტკიცების იქვი არ უნდა გეკონდესო, ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს წესდება ნოემბერში უნდა შემოიღონო.

— ბირჟის უწყებებში იწერებან სესტრორეკიდგან (პეტერბურლის გუბერნიაში) რომ დიდი ხანია არ არის მას აქეთ, რაც ჩვენს სოფელში ახალგვარი ამხანაგობა შესდგაო. აი ის საფუძვლები, რომელზედაც დამყარებულია ეს ამხანაგობა: სესტრორეკის სახელოსნო ამხანაგობა იმ აზრით წესდება, რომ შრომის შეერთებით და იმისი გონიერი განაწილებით საცხოვრებელი ღონე მიუმატოს თავის წევრებს. ამხანაგობას უნდა გამართული ჰქონდეს სხვა და სხვა სახელოსნო. სახელოსნოების გასამართავი თაენი შეუდგენიათ: 2600 მანეთისაგან, რომელიც ამხანაგობის წევრებს სხვა და სხვა პირებისაგან უსესხნიათ, თუ უსარგებლოთ, თუ კანონიერი სარგებლით; 2) იმ ფულისაგან, რომელიც რკინის გზის გასაყვანი მიწების ფასათ აუღიათ; და 3) იმ ფულისაგან, რომელიც გაყიდულს რკინაში აუღიათ. შოველი წევრი ამხანაგობაში შესელის დროს ხელ წერილოს სდებს, რომ იმის სახლი არც გაყიდულია და არც დაგირავებული და რომ მთელი მისი საცხოვრებელი ამხანაგობასთან პირობების ასრულებაში პასუხის მგებელია. ნიეთებში აღებული ფასიდან ამხანაგობის წევრს 70% ე. ი. მანეთზედ სამ აბაზ უზალთუნი ერგება; მაგრამ აქედამ უნდა გამოირიცხოს გაკეთებული ნიეთის მასალის ფასი, რომელიც ყოველს წევრს საზოგადოებისაგან ეძლევა. მინც წევრთაგანი ნიმუშის მსგავსად არ გააკეთებს თავის სახეიდრს სამუშაოს, ან დანიშნულს ვადაზედ არ ასრულებს თავის საწილო შრომას, პირველად და მეორედ ჯარიმას იხდის და მესამე ჯერ ამხანაგობიდან გამოირიცხება, თუ რომ ამ აუსრულებლო-

ბის მიზეზი ავითმყოფობა არე უფუფილად — სამხედრო კრებულენს სესტრორეკის წიგნში გამოანგარიშებულია თუ რამდენი იხარჯება რუსეთში თითო სალდათის სარჩენად წელიწადში. 1871-ში სამხედრო სამინისტროს დაუხარჯავს ას ორმოც და თოთხმეტ ნახევარი მილიონი მანეთი. აქედამ სამხედრო მმართველობაზედ ორმოცდა შვიდი მილიონ ნახევარი და დანარჩენი თვითონ ჯარის სარჩოთ დახარჯულა. 1871 წელში რვა ასი ათასზე მეტი ჯარი ყოფილა, ასე რომ თითოეული სალდათის შენახვა ასოცდა თერთმეტი მანეთი დამჯდარა. მაგრამ თუ სამხედრო სამმართველოზედ დახარჯულს ფულსაც ვიანგარიშებთ (რადგანაც სამხედრო მმართველობა ჯარისათვის აუცილებელია), მაშინ თითოეულ სალდათზედ ასოთხმოცდა ათი მანეთი მოდის.

უცხო ქვეყნები

საზრანგოთი.

— 29 აგვისტოს მუდამი კამისიის სხდომის შემდეგ მარჯვენა შუაგულის და მარჯვენა მხარის წევრებს შორის ტახტის აღდგენაზედ მოლაპარაკება ყოფილა. მაგრამ ჯერ მართკ ერთ საქმეზედ დათანხმებულან: იმათ დებუტაცია გაუფხავნიათ შიზოსთვის, რომელსაც 24 მაისის ცელილებაში, ტიერის მმართველობის გარდაყენებაში, დიდი მონაწილეობა ჰქონდა მიღებული და რომელსაც მონარხიელები და იმათი სამეფო კანდიდატები რადაც სიბრძნის ქურჭლათ სთელიან და ყოველ საქმეზე რჩევას ჰკითხვენ.

— ამ კამისიის კრების შემდეგ რადიკალებიც შეყრილან მოსალაპარაკებლად, მაგრამ არც იმათ გადაუწყვეტიათ რამე; მხოლოდ ერთმანეთს შეატყობინეს სხვა და სხვა ამბები, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ხალხს არ სურს მონარხიის აღდგინება. ამ დებუტატებს ისიც არ გადაუწყვეტიათ, თუ რა უნდა ქნან, რომ მონარხიელებმა 24 მაისის მმართველობის გამოცვლასავით, უცებ მონარხიის დაფუძნება გამოაცხადონ.

— დეპარტამენტში კიდევ ბევრი აღრესები იწერება ტიერის გასაგზავნად. ზიჟაკში რესპუბლიკელმა გამომჩიელებმა საერთო აღრესი გაუფხავნეს ტიერს, ლუი-ბლანს და ბამბეტას, როგორც სამი დემოკრატიული პარტიის ნაწილის წარმომადგენლებს და ხალხის წინამძღოლებსა და მფარველებს, იეზუიტების მტრული განზრახვის წინააღმდეგ.

— მფიციალურ ჟურნალში გამოცხადებულია, რომ 30 სექტემბერს ოთხ დეპარტამენტში დებუტატების დამატებითი არჩევა უნდა მოხდესო. ძიდევე არის რვა დეპარტამენტი, რომელთაც დებუტატები არა ჰყავთ ნაციონალურ კრებაში; მაგრამ იმათი დებუტატების არჩევა ეხლა იმითომ არ დაუნიშნათ, რომ მმართველობას ძალიან ეშინია, ვაი თუ ყველა დეპარტამენტში რესპუბლიკელი დებუტატები აირჩიონ და ამან ძლიერ დიდი შთაბეჭდილება მოახდინოსო იმ კაცებზედ კრებაში და ხალხში, რომელთაც ჯერ კიდევ არ გადაუწყვეტიათ, ვის უნდა მიემხრონ სამუდამოთ, მონარხიელებს, თუ რესპუბლიკელებს.

მსპანი

— სამი სექტემბრიდამ იწერებან, რომ მმართველობის ჯარს, რომელშიაც ათი ათასი კაცი ირიცხებოდა, თოთხმეტი ათასი ღონ-პარლოსის ჯარი, იმისვე წინამძღოლობას ქვეშ, დაუმარცხებია და გაუქცევი

ახსტრია

როგორც ინგლისში და რუსეთში, ისე ახსტრიაშიც აღძრულია ის კითხვა: შეიძლება, რომ ქალბატონი უნივერსიტეტში სწავლის ნება მიეცეს თუ არა. ახსტრიელი სახალხო განათლების მინისტრის ამის უარი უთქვამს: რადგანაც უმაღლეს სასწავლებლებში საზოგადო საფუძვლად კაცების და ქალბატონების ცალ-ცალკე სწავლება სდევს, ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია, რომ ქალბატონი სტუდენტებად მივიღოთ, ან და იმათ უნივერსიტეტში ლექციების სმენის ნება მიეცეთო. მინისტრი ფიქრობს, რომ ქალბატონთა ცალკე კურსების კითხვა, ან, განსაკუთრებით შემთხვევაში, ერთი ორი ქალის უნივერსიტეტში შემება ლექციების სასმენად თითონ უნივერსიტეტის შინაური საქმეა და როგორც უნივერსიტეტის პროფესორების ჩივილს სურს ისე მოიქცნენო.

თანამედროვე შენიშვნები და სურათები

I

შეგონებ ეჯარით აუღია ქვეყნიერობის გაკვირვება ამ ჩვენს საუკუნეს? თითქო განგებ, ყველაფერი მოულოდნელად და უცნაურად ხდება. შილოსათვის, რასაკვირველია, ყველა მოვლინებას თავის აუცილებელ მიზნებს გამოუწახავს, დაგვჯერებს, რომ ესა და ეს შემთხვევა, ამა და ამ წყაროდან წარმოსდგაო. მაგრამ საზოგადოება ფილოსოფოსი როდია. ის უყურებს უკანასკნელ შედეგს (რეზულტატს) რომელიმე მოვლინებისას, ამბობს: „ქვეყნარტად საკვირველი რამ არის ამისთანა საქმე!“

როდესაც მეთვრამეტე საუკუნის მწერლებმა, თავის ქალებით, მოამზადეს საფრანგეთის ნიადაგი ახალი ცხოვრებისათვის, და ერთ დღეს, 4 აგვისტოს 1879 წ., შუა-საუკუნის ბარბაროსებრივ წესისაგან მცირედი ნატამალიც არ დარჩენილა, მაშინ ქვეყანა გაკვირდა და სთქვა: „ეს რა ამბავი არისო!“ როდესაც საფრანგეთის გაღვივებულმა ხალხმა, თავისუფლების და სახელოვნების გრძნობით აღტაცებულმა, უკუნ აქცია რამდენიმე ჯელ მთელი მერობის სამხედრო ძალა, ქვეყანა კიდევ იმას ამბობდა: „ეს, რა საკვირველება არისო!“

პირველ უარეს: როდესაც ნაპოლეონ პირველმა ჩამოიარა მერობის სატახტო ქალაქები და მრისხანე ხმით აწერინებდა გარიგების პირობას დამორჩილებულ ხელმწიფეებს, ქვეყანა მაშინაც ჰკვირობდა.

უკანასკნელად, ამ წარჩინებულმა სარდალმა იშვიათად წაკრა ფეხი გზაზე დაღებულ ბლუზერს და დაეცა; ხალხები სულ ისევ გაცოცხლებული იყვნენ.

პარიჟში დაბანაკებულმა რუსეთის, ინგლისის და პრუსიის ჯარმა თავის მხრით იშოვნა დრო და უბრძანა საფრანგეთს, თავის ძველი მეფის მემკვიდრე მიეღო. ამ ნაირად, გამარჯვებულებმა იფიქრეს: „დავადგინეთ მერობაში მშვიდობა“. საფრანგეთი დამორჩილდა ამ გადაწყვეტილებას. მკვდა ხუთი წლის განმავლობაში იარაღის ხრიალმა, თოფის წამალმა და ნაღარის ხმამ მოაწყინა მას თავი. აღექანდრე ხელმწიფის წყალობით ლუდოვიკოს მეთვრამეტე გამოეფდა საფრანგეთში. მერობა დაბეჯილდა, რომ ბურბონის სახლს აღარა უშავს რაო. მაგრამ რევოლუციისგან დარჩენილ აზრებმა სულ უფრო და უფრო უთხარა ძირი „ზეციოტან მოვლინილ მონარხისა“. უკანასკნელად, 1830-ში, შარლ მეათე სტამბის შევი-

წროებისთვის, საფრანგეთის ხალხმა ჩამოაგდო ტახტიდან, და ეს ხელმწიფე გაგდებული საზღვარ გარეთ მოკედა. შრანტუზები როდი ითმენენ სხვა ხალხებსავე შევიწროებას.

მერობელი სამხედროება ლანძღვდა ფრანკოუსს ჯარს, რომ ის ხალხთან ბრძოლაში დამარცხებული შეიქნა.

ძავენიაკი ჩარბებს იკენებდა და მისცა ფიცი თავის თავს, რომ გადაუხდის ამ შეუცხადებულს პარიჟის ხალხს.

ძავენიაკმა თავისი სიტყვა აღასრულა 48-ში, როდესაც ის დროებით მართებლობამ დიქტატორათ დანიშნა ლუი შლიპესგან განთავისუფლებულ ქალაქში. ლენერალომ იხსნა ჯარის პატივი, მაგრამ თავის სამშობლოს კი ნაპოლეონის ოცის წლის ბატონობა მოუშადა. მრმოდლა რეჟიმის საფრანგეთის რევოლუციამ დასაფრთხილ მერობაში ბევრი ბარტყები შუა. სხვა და სხვა ხელმწიფეები და მთავრები შეიძრენ თავის ტახტებზედ. ხალხი დასაფრთხილ მერობაში ყველგან თავისუფლებას თხოულობდა.

მბრძანებლები შეშუთდნენ, იფიქრეს: „თუ რამე ღონე არ ეხმარეთ, სულაც დაუკარგავთ უფლებასაო“ და მისცეს თავის ქვეშევრდომებს კონსტიტუციები. მართალია, ამ საბუთების ძალით ხალხმა ბევრი უფლებები მოიპოვა, მაგრამ ბევრი მალეც ხელახლად დაკარგა. დამშვიდებულ საზოგადოებას ნელ ნელა ამოუშალეს სხვა და სხვა სიმართლებები თავისი კონსტიტუციებიდან.

იმ დღეს, როდესაც საფრანგეთმა ჩაბარა თავისუფლების დაცვა, ნაპოლეონს დაძავენიაკს წამოეღოთაგან საჭირო იყო პირობის ჩამორთმევა, ფიცი და მტკიცე სინდისიანათ აღსრულებაზედ თავის პრეზიდენტობისა და დიქტატორობის მოვალეობისა—მაშინ, იცოდეთ, იმის თავისუფლების საქმე დაკარგული შეიქნა. შრანტუზებმა მერე ბევრი ინაღლეს 48-ში რომ ნაპოლეონი ამორჩილეს რესპუბლიკის პრეზიდენტათ. შრანტუზები დღესაც არა ნაკლებ იშვიან, რომ თავიანთი ბედი საეჭვო დებუტატებს ჩაუვდეს ხელში. ეს სულ ისევ ის ნიადაგი გველის და უმანკობის არაკია. უმანკო ყმაწვილმა გველი ნახა, თურმე. მას კალთა ხლით ჰქონდა საეჭვ, და მოინდომა გაეზიარებინა გველისთვის. ბეგლმა, საჭმელის გამორთმევის მაგიერ, თითონ ის საბრალო დაგესლა.

ეს არაკი თუმცა კარგი ხნისაა, მაგრამ ჩვენ თითქმის ყოველ ნაბიჯზედ, როგორც საზოგადო ცხოვრებაში ისე შინაობაში, ეხედეთ მის გამეორებას. საზოგადო, კაცი, სანამ უფლებას იშოვნიდეს, უკეთესია. როდესაც ჩვენ ახლო ვუცქვართ სხვის გაჭირვებას, ვუცქვართ კაცის ცრემლით და ოფლით ნაშოვარ ლუქმას, მაშინ ჩვენში ბევრი პატივსაცემელი გრძნობანი იღვიძრება. ხშირად უამართლო გაწყობილებისგან აღელვებული აღამანი თავეანწირულებამის მიღის თავის მოძმეების შესაწევნად. მგრამ დამორდა თუ არა კაცი იმ წრეს, სადაც ყოველთვის მწუხარების სურათსა ხედავდა, და აინაცვლა მალა საზოგადოების კიბეზედ, მოიპოვა სიმდიდრე და გამალობა, ის ერთბაშათ იფიქრებს თავის აღტქმას, თავის მოვალეობას და თან კაცობრიობასაც. სიამოვნების და ნეტარების ღრუბელი ერთობ გაუქვრეტელია უმრავლესობისთვის, რომ იქიდან შეეძლოს კაცს დანარჩენი უბედური ხალხის ნაწილის დანახვა. ჩვენ ერთი

მშენიერი ანდაზა გვაქვს, რომელიც ორი სიტყვით ხატავს საქმეს. „მადარს მშვიდი მადარი ეგანაო“. ზოგიერთი გერმანიელი ფილოსოფოსი ამ აზრის გამოტქმას ექცეოდნენ სკელ ტომს მოანდომებდა. ხალხს კი, თავის უტუნებლად წარმოუტქმას ეს. მართს ადგილს ჭიხტე ამბობს: „კაცის გარყენილობა მატულობს მისი საზოგადოებაში ამაღლების დაგვარადა“. ნუ თუ ეს სიმართლეა? სამწუხაროთ, უნდაესთქვათ: უმეტეს ნაწილად ამ აზრის გაყალბება შეუძლებელია. შრიცხე მავალითები სხვაგან და ჩვენშიაც გვარწმუნებენ დიდი ფილოსოფოს სიტყვებზედ.

II

პარიჟელ გაზეთში „Rappel“ ერთი ლაზაზი სტატია იყო:

მრი კაცი მუსაიფობენ: პირველი სთხოვს მეორეს მიიღოს ის სამუდამოთ თავის მონათ. ჰპირდება საუკუნოთ ერთგულებას და სამსახურს, როგორც თავის მხრით აგრეთვე თავის შთამომავლობის მხრითაც. საბატონო კაცი უპასუხებს: თქვენი სურვილი მონათ გახდომის სურვილია, და საფრანგეთში მონათობა აღკრძალული არისო. პირველი უმტკიცებს, რომ ის თავისუფალია თავის თავზედ, ჩემს თავს რასაც მინდა იმას უწამოა, ამბობს ის.—ძარგი. ეთანხმება მეორე. მ თქვათ შენს თავზედ ვაქვს ნება ყველაფრისა, გინდა მიიჩქე ვისაც გსურს, გინდა წყალოვიც გადავარდი. მაგრამ რასიმართლით ბედავ შენი ნათესავეების ბედით განკარგულებას. შენს ცოლს, შენს შვილს ჰკითხე შენი გადაწყვეტილება? გაუფლეს იმათ თავის მომავალი? შეგიძლია ესლა შენ მცირე წლოვანების მაგიერ თქმა?

შენი სურვილი საძრახი და საშინარა მსთქვათ: მე მიცნობ, მენდობი. მაგრამ შეგიძლია სთქვა ეს ჩემს შთამომავლობაზედაც? იცნობ ჩემს შვილსა და შვილის-შვილებსა? დარწმუნებული ხარ, რომ ისინი სულელები და ბორბოტი არ იქნებიან? შენ შეგიძლია დროებით მომენდო მე, მაგრამ სამუდამოთ თავის უფლების შელევა, პირუტყვით გახდობა ზნეობითგან ვანდგამა, როგორც აღამიანს, შენ არა ვაქვს ნება! თავისუფლება ვალდებულბაა. შენ კაცი ხარ და კაცს სხვისი საკუთრებათ ნიეთად გახდობა არ გრცხვენია? მაშორდი, მე შენი მოსამსახურობაც არ მინდა, ახირებულა!

პირველი ვუბნება გულ-დაწყვეტილილად: მართლა რომ ახირებული ვარ, ოცდა თექვსმეტი მილიონი სულის ჩუქებას რომ გიპირობდიო. აქ სცენა იცვლება. მეორე მომუსაიფე იმ წამსვე იღებს წინადადებას. პირველი კი უარზედ სდგება. მეორე უმტკიცებს პირველს, რასაც ერთი წამის წინ უარს ჰყოფდა. გამოდის სასაცილო აზრების შეცვლა... თქვენ, რასავიგრველია, კარგი ხანია გაიგეთ, რომ ერთი საფრანგეთია და მეორე შამბორი. ცხადია, რომ შამბორი ბევრს აღარ იბოდიშებს, აღარ გამოუდგება ზნეობით მოვალეობის ასრულებას, როცა მას საფრანგეთის მეფობა შეეძლევა.

მართი უჩასტის ნაჩანიკი იყო იმერეთში. მთუ მთხოვნილი სამ მანეთზედ ნაკლებ შეძლებდა ერთს ალიაქოთს და უბედურებას ასტხნდა; დაიწყებდა ყვირილს თავის უანგარობაზედ, პატიოსნებაზედ, მოვალეობაზედ და სხვ. და სხვ.

შემშარიტად, პატივსაცემელია ამ ნაირი თავის მოყვარობა!

— პარიჟში, ორიენტალისტების ე. ი. აღმოსავლეთური ენების შემსწავლელ მეცნიერების კრებაში, 8 სექტემბერს უფ. მოკრულს უთქვამს, რომ სპორია ფრანკოზებსაც გვეკონდეს იმისთანა სწორი თარგმანი ძველის აღტქმისა, როგორც ლუტერის წყალობით გერმანიელებს აქეთო.

— ამ წელს შეიცარიაში 412 გაზეთი გამოდის. ამთგან 266—გერმანიელ ენაზედ, 118—ფრანკოზულზე, 16—იტალიურზედ და 6—ფრანკოზულ და გერმანიულზედ. მათო გაზეთი თითქმის 6,500 კაცის თავზედ მოდის. ამ ანგარიშით რუსეთში 10 ათასი გაზეთი მაინც უნდა იყოსო, ამბობს „პეტერბურლის უწყების“ კორესპონდენტი.

— შენს გამოფენაზედ მიღებულის ჯილდოების რიცხვით შეიცარიას პირველი ადგილი უჭირავს მერობის სახელმწიფოებში. მართი შეველარისაგან მიღებული ჯილდო 108 ათას კაცზე მოდის, მაშინ როდესაც ბელგიაში ერთი ჯილდოა თითოეულ 250 ათას კაცზე, გერმანიაში 410 ათასზედ, ახსტრიაში—443 ათასზედ, საფრანგეთში—462 ათასზედ, შოლონდიაში—650 ათასზედ, შეიცარიაში 655 ათასზედ, დანიაში 900 ათასზედ, ლიდ ბრიტანიაში (ინგლისი, შოტლანდია, ირლანდია) ერთ მილიონსა და 222 ათასზედ, იტალიაში მილიონსა და 405 ათასზედ, რუსეთში სამ მილიონსა და 550 ათასზედ.

— ამერიკაში მოუშადათ ერთი უმელებელი ჰაეროსტატი, რომელიც ამ მოკლეს დროში მერობისკენ უნდა გამოიჭერდეს და ინგლისში ან სხვა მერობის ქვეყანაში უნდა ჩამოეშვას ჰაერიდან. ამ ჰეროსტატზე ოთხი კაცი უნდა იჯდეს: ორი ჰაერში მოგზაურობის მცოდნე, რომელითგან ერთი პრუფესსორია, ერთი შინაშეხილი და ერთი ამ ჰაეროსტატის გამკეთილებელი გაზეთის კორესპონდენტი. მგზავრებს იმედი აქვთ, რომ ამერიკიდან მერობაში სამოკ საათზედ მოუღვენ. მან თორმეტი მტრედი მოჰყავთ, იმისთანა, რომ ძალიან კარგათ დაჩეულო არიან ინგლისის, საფრანგეთის, შპანის და ბელგიის ნაპირებს და როცა მერობას მიუახლოვდებიან ამათი შემწეობით თავისი ამბავი უნდა შეატყობინონ ევროპელებს, რომელთგან პირველმა მნახველმა მტრედებზედ შეგებული კორესპონდენტები გაზეთებში დასაბეჭდათ უნდა გაგზავნოს.

— ხივის ხ.ნ.ს, თავის სახანოში სპარსილი მონების განთავისუფლების გამო, სპარსეთის შაჰსთვის წიგნი მიუწერია. აი ამ წიგნის დასაწყისი, რომელიც ძალიან ჩამოგავს ჩვენებურს ძველ მოკითხვის წიგნებს: „შალო-ხარისხოვნესო, უაჩრჩინებულესო, ბრძმერო ხალიფავ, ერთგულო მეგობსო რობაში, ჩვენო ყველაზედ უფრო პატივიმცემლო, ნასრ-მდიან შჰო, უხვო წყალობითა. პირველად ამ ჩვენს მეგობრულწიგნში თავს დაეკრავთ. ამას გარდა უწყოდეს თქვენმა უბიწომ და წრფელმა სულმა, რომ ღვთის წყალობით მშვიდობით ვარ და მსურს, ეს თქვენ შეგატყობინო...“

ბიბლიოგრაფიული განცხადება

დაიბეჭდა და ისყიდება

მართნოვის საწიფე მალაზინში, ივანოვის ბიბლიოთეკაში და მელიქიშვილის სტამბაში.

გ ლ მ ხ შ რ ი ს ი მ ლ ქ რ მ ბ ი

ლექსები

და

ანდაზები

შეკრებილი რ. მისთვისა და ილ. შვეტიცხისგან გამოცემული

ი. მელიქიშვილის და მეგ ხელაძისაგან შპანი მართი შაჰური.

ბარეშ ქალაქებში ამ დღეებშივე გამოგზავნება გასაქიდათ.